

საქართველოში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ახალგაზრდული ბანკების მიერ დაფინანსებული მიკრო-პროექტების სია
ციკლი 1

პროექტები დაფინანსდა 2008 წელს და შესრულდა 2009 წლისათვის

ბათუმის ახალგაზრდული ბანკის მიერ დაფინანსებული ინიციატივები:

1. *საფეხბურთო ტურნირი:* საფეხბურთო ტურნირის მოწყობა ორ საჯარო სკოლასა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სამ სკოლას შორის; 424 აშშ დოლარი.
2. *დახმარება ობლებს:* საქველმოქმედო აქციის მოწყობა და სათემო რესურსების მობილიზება ბათუმის ობოლთა თავშესაფარისათვის საკვებითა და ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფისათვის; 397 აშშ დოლარი.
3. *ინტელექტუალური თამაშები:* ქობულეთის საჯარო სკოლის ინტელექტუალური კლუბის წევრების მხარდაჭერა მათი ინტელექტუალური განვითარებისათვის საჭირო წიგნების შეძენაში; 423 აშშ დოლარი.
4. *ინტელექტუალური თამაშები საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის:* საბავშვო ბაღების დახმარება წიგნებითა და ვიზუალური მასალით აღსაზრდელთა ინტელექტუალური განვითარებისათვის; 297 აშშ დოლარი

მარნეულის ახალგაზრდული ბანკის მიერ დაფინანსებული ინიციატივები:

1. *გასართობი სპორტული შეჯიბრებები:* სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება მარნეულის რაიონის ოთხ საჯარო სკოლას შორის; 393 აშშ დოლარი
2. *დავიცვათ ბუნება:* ადგილობრივი თემის მობილიზება მარნეულის ცენტრალური პარკის დასუფთავებისათვის; 406 აშშ. დოლარი
3. *მე და გარემო:* მარნეულის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ტრენინგის ჩატარება; 419 აშშ დოლარი
4. *ფრენბურთი:* ტურნირის ორგანიზება ფრენბურთში გოგონებისა და ბიჭების სპორტით დაინტერესების მიზნით; 89 აშშ დოლარი
5. *ჩემპიონატი ჭადრაკში:* ჭადრაკის პოპულარიზაცია მარნეულის ინტელექტუალური განვითარებისათვის; 337 აშშ დოლარი

ახალციხის ახალგაზრდული ბანკის მიერ დაფინანსებული ინიციატივები:

1. *სამარადისო ხელოვნება*: საქველმოქმედო აქციის ორგანიზება ახალციხის ობოლთა თავშესაფრის დახმარების მიზნით. ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტები მოქსოვენ და შეკერავენ ტანსაცმელს, რომელიც გამოფენაზე გაიყიდება. გაყიდვებიდან შემოსული თანხით შეიძენენ სასკოლო ნივთებს, რომლებიც ახალციხის ობოლთა თავშესაფრის ბავშვებს გადაეცემათ.
2. *სუფთა და კომფორტული სკოლის ეზო*: ახალციხის №1 საჯარო სკოლის ტერიტორიის დასუფთავება და ბაღის გაშენება. ეს ტერიტორია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ნაგავსაყრელად გამოიყენებოდა; 481 აშშ დოლარი.
3. *წიგნები უპირველეს ყოვლისა*: ახალციხის №1 სკოლის ბიბლიოთეკისათვის წიგნების შექმნა და სკოლის მოსწავლეთათვის ინტელექტუალური შეჯიბრების მოწყობა; 483 აშშ დოლარი.

ზუგდიდის ახალგაზრდული ბანკის მიერ დაფინანსებული ინიციატივები:

1. *ჯანმრთელი გარემო მომავალი თაობებისათვის*: სოფელი ჯვარის (წალენჯიხის რაიონი) საჯარო სკოლის ტერიტორიის დასუფთავება. ეს ტერიტორია მოსახლეობის მიერ ნაგავსაყრელად გამოიყენებოდა; 425 აშშ დოლარი.
2. *თეატრი ომის წინააღმდეგ*: ზუგდიდის №2 საჯარო სკოლის საინიციატივო ჯგუფის მიერ პანტომიმის სპექტაკლის დადგმა სათაურით “არა ომს”. სპექტაკლის მიზანი კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზით მოგვარების დადებითი შედეგების ხაზგასმაა; 464 აშშ დოლარი.
3. *ცოდნის წყარო*: სკოლის ბიბლიოთეკისათვის წიგნების შექმნა რათა დევნილ ბავშვებს კლასგარეშე ლიტერატურაზე მეტად მიუწვდებოდეთ ხელი; 182 აშშ დოლარი.